დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის 35/21 ოქმით

სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „საქართველს უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (შემდეგში „ინსტიტუტი“) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ინსტიტუტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
3. ინსტიტუტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს უნივერსიტეტს.
4. ინსტიტუტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლო - სამეცნიერო დარგში პრორექტორის წინაშე.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები

1. ინსტიტუტის საქმიანობის მიზნებია:
ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევების განვითარება;
ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია;
გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდინაცია;
დ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინაცია;
ე) უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.
ე) უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების კვლევითი პოტენციალის ეფექტურობის მხარდაჭერა;
ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებია:
ა) უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტულობის პერიოდული განსაზღვრა;
ბ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად და მის მხარდასაჭერად საჭირო ინსტრუმენტების/მექანიზმების შემუშავება და მათი განვითარება;
გ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ეფექტური სისტემის შექმნა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა სამეცნიერო სფეროში;
დ) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.
ე) უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებში კვლევითი პოტენციალის გამოვლენა და ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის ფუნქციები

1. ინსტიტუტის ფუნქციებია:
ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება, პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და განსავითარებელი სფეროების გამოვლენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და შესაბამის სკოლებთან თანამშრომლობით;
ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
გ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალის მობილობის ხელშეწყობა (საზღვარგარეთ ლექცია-სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა), სამეცნიერო მივლინებების დაგეგმვა, ინიცირება, მათი დაფინანსების წინადადებების წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულებისათვის;
დ) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება-ინიცირება;
ვ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ უნივერსიტეტის დაფინანსების (შიდა გრანტის) მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება (პროექტების რეგისტრაცია, საკონკურსო პირობების განსაზღვრა, კონკურსის/შერჩევის ეტაპების ჩატარების ხელშეწყობა, პროექტების შეფასების ინდიკატორების შემუშავება და სხვა);
ზ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ გარე დაფინანსების (გრანტების) მოპოვების ხელშეწყობა, დაფინანსების მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაციების გაწევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის;

თ) უნივერსიტეტის ერთეულების მიერ/მათი მონაწილეობით შექმნილი სახელმძღვანელოების გამოცემის მიზანშეწონილობის/საჭიროების საკითხის განხილვა და მათი გამოცემის ინიცირება/ვიზირება;

ი) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ინფორმაციის ფლობა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და მართვა;

კ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან (უცხოური უნივერსიტეტები, სამეცნიერო ფონდები, ბიზნეს-სექტორი და სხვა);

ლ) საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების, გამოფენების ორგანიზება და მათი ჩატარების ხელშეწყობა საქართველოსა და საზღვარგარეთ;

მ) უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ბავშვებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სამეცნიერო სემინარების, ვორქშოპების, ივენთების და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება;

ნ) საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალების რედაქციის საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია;

ო) საუნივერსიტეტო აკადემიურ ჟურნალებსა თუ სხვა საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაცემ სტატიებზე რეკომენდაციების გაცემა;

პ) სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების განსაზღვრა დანართი N1-ის შესაბამისად.

ჟ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ინიცირება/განხილვა/გადაწყვეტა, თუ აღნიშნული არ განეკუთვნება უნივერსიტეტის სხვა ერთეულის უფლებამოსილებას.

რ) უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის/მეცნიერი თანამშრომლის მიერ წარდგენილი საკვლევი თემატიკის, აგრეთვე სადოქტორო პროგრამის გამოცხადებამდე საკვლევი პროექტების განხილვა და კვლევის სამეცნიერო პოტენციალის შემოწმების მხარდაჭერა.

2. ინსტიტუტი ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების/ ამოცანების მისაღწევად და ფუნქციების განსახორციელებლად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სკოლებთან, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან და უნივერსიტეტის სხვა შესაბამის სტრუქტუტულ ერთეულებთან.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის თანამშრომლების, მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი ინსტიტუციების და უნივერსიტეტის სკოლების სტრუქტურაში

შემავალი ინსტიტუციების, ინსტიტუტების, ცენტრებისა, ექსპედიციების და ლაბორატორიების ანგარიშვალებული მეცნიერ-თანამშრომლებისა და მკვლევარებისაგან.

2. ინსტიტუტის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საბჭო;

ბ) მათემატიკის ინსტიტუტი (ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მათემატიკის ინსტიტუტის დებულებით)

გ) ეკონომიკის ინსტიტუტი (ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეკონომიკის ინსტიტუტის დებულებით)

დ) რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტი (ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტის დებულებით)

ე) ინოვაციური სისტემების და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ინოვაციური სისტემების და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დებულებით)

ვ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება

ზ) სამეცნიერო ჟურნალების რედაქცი(ებ)ი;

თ) UG ოლიმპიადის ცენტრი

ი) თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სკოლის წინაშე.

3. ინსტიტუტის ანგარიშვალებული ინსტიტუციებია:

ა) ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი;

ბ) არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი;

ბ) სარა ბენ-შემეშის სახ. ისრაელის კვლევის ცენტრი;

დ) ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი;

ე) ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;

ვ) ქიმიის ლაბორატორია;

ზ) ჯანმრთელობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კვლევითი ინსტიტუტი;

თ) სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია;

ი) ინტერნეტის შესწავლისა და კვლევების ცენტრი;

კ) სკოლის ფარგლებში არსებული დეპარტამენტები/ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებს.

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან:

ა) ინსტიტუტის წინაშე;

ბ) ინსტიტუტისა და სკოლის წინაშე ერთობლივად.

5. უნივერსიტეტის თითოეული სკოლა უფლებამოსილია შექმნას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი (შემდეგში - სამეცნიერო-კვლევითი ერთეული), რომელიც ანგარიშვალდებულია როგორც სკოლის (სკოლის საბჭოს), ასევე ინსტიტუტის წინაშე. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას შეიმუშავებს/ამტკიცებს შესაბამისი სკოლის საბჭო.

მუხლი 5. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და მართვა

1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი. ინსტიტუტის დირექტორი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებას და რომელზეც რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ცალკეული ფუნქციის დელეგირება.

2. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე(ები), რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის ან/და ინსტიტუტის დირექტორის მიერ განსაზღვრულ/დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

3. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას და პასუხისმგებელია ინსტიტუტზე დაკისრებული მიზნების მიღწევაზე, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მონაწილეობას სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში;

გ) ქმნის საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალების რედაქციას;

დ) კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ერთეულებში (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სკოლები და სხვა) მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროცესს;

ე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საბჭოს დავალებით ქმნის კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს უნივერსიტეტის ერთეულებიდან (სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სხვა) წარმოდგენილი საკვლევი პრობლემატიკის, სადოქტორო პროგრამებისა და პროექტების განსახილველად, ასევე თემატურ ჯგუფებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა საკითხების განსახილველად;

ვ) ისმენს/იხილავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტების ყოველწლიურ ანგარიშს განხორციელებული საქმიანობისა და შედეგების თაობაზე;

ზ) უნივერსიტეტის რექტორს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ინსტიტუტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობებში, ასევე უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, სკოლებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

ი) ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის დავალებებს.

5. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.
6. ინსტიტუტის/სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომლები ექვემდებარებიან ატესტაციას. ატესტაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი ატესტაციის წესების შესაბამისად.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დაფინანსების განსაზღვრა

1. ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და მოიცავს მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და სხვ.

მუხლი 7. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო

1. უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო და კვლევით საქმიანობის ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის შემადგენლობაში მოქმედი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო (ამ მუხლში შემდგომში - „სამეცნიერო საბჭო“).
2. სამეცნიერო საბჭო ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე.
3. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუდმივმოქმედი და დროებითი წევრები.
სამეცნიერო საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები არიან:

- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
- უნივერსიტეტის პრორექტორი აკადემიურ და სამეცნიერო დარგში;
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
- ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი;
- ინსტიტუტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიების დირექტორები;
- უნივერსიტეტის განათლების და კვლევების განვითარების სამსახურის უფროსი;
- უნივერსიტეტის თითოეული სკოლის მიერ განსაზღვრული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თითო წარმომადგენელი.

4. განსახილველი საკითხების შინაარსიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, საბჭოში შესაძლოა მოწვეულ იქნენ დროებითი წევრები. დროებითი წევრის მოწვევის საჭიროებას და ვინაობას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.
5. განსახილველი საკითხების შინაარსიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, საბჭოში შესაძლოა მოწვეულ იქნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და საფინანსო

სამსახურის წარმომადგენლები. მათი მოწვევის საჭიროებას განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

6. სამეცნიერო საბჭოს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

7. საკუთარი ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში იქმნება დროებითი და მუდმივმოქმედი კომისიები. კომისიების შექმნის საჭიროებასა და შემადგენლობას განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

8. სამეცნიერო საჭოს ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ზედამხედველობა და კოორდინირება;

ბ) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევითი პროექტების შესახებ წლიური და სპეციალური ანგარიშების მოსმენა;

გ) საუნივერსიტეტო წლიური და რიგგარეშე სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

დ) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო დებულებებისა და აქტების ინიცირება, განხილვა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

ე) სკოლების, კვლევითი ინსტიტუტების, კვლევითი ცენტრების, ლაბორატრიების, დეპარტამენტების, მკვლევართა ჯგუფებისა და ინდივიდუალური მკვლევრების შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების განხილვა და დამტკიცება;

ვ) სადოქტორო კვლევითი პროექტების განხილვა და დამტკიცება;

ზ) შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტებისა და სადოქტორო კვლევითი პროექტების განხილვისა და დამტკიცების კრიტერიუმების შემუშავება და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

თ) შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსების წესის, საკონკურსო პირობებისა და დამტკიცებული პროექტების მიმდინარეობისა და განხორციელების შეფასების ინდიკატორების შემუშავება და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ი) სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დანართი N1-ის შესაბამისად;

კ) ინსტიტუტის დირექტორის ან/და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ჩართულობის ზრდას სამეცნიერო-კვლევით სფეროში, ადგილობრივ და უცხოურ

უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას, არსებული კავშირების გამყარებას და ახალი კონტაქტების ჩამოყალიბებას;

ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონსოლიდირება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების კოორდინაცია და მიმდინარეობის მონიტორინგი;

დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირების მობილობის ხელშეწყობა/სტიმულირება;

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);

ვ) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი ფონდების მიერ ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, უნივერსიტეტში მისი გავრცელება;

ზ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის კონსულტაციების გაწევა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადება/განხორციელებისა და დაფინანსების (გრანტების) მოპოვების საკითხებში;

თ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან (უცხოური უნივერსიტეტები, სამეცნიერო ფონდები, ბიზნეს-სექტორი და სხვა);

ი) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისთვის რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;

კ) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა;

ლ) ინსტიტუტის დირექტორის ან/და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

მუხლი 9. სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ის რედაქცია

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ის რედაქციის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებს ხელი შეუწყოს მაღალი სამეცნიერო ღირებულების სტატიებისა და კვლევების გამოქვეყნებას. ასევე, მაღალციტირებადი პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზებში მოხვედრას. სამეცნიერო ჟურნალის ფუნქციაა საზოგადოებას გაუზიაროს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ.

2. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ში ნაშრომის გამოქვეყნების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის მიერ, სარედაქციო საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე. აუცილებელია დაცული იყოს, ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები. რედაქცია იტოვებს უფლებას, ავტორთან/ავტორებთან შეთანხმებით, ნაშრომში შეიტანოს სარედაქციო ხასიათის ცვლილებები;
3. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯურნალ(ებ)ი გამოიცემა ელექტრონული ან/და ბეჭდური სახით და ხელმისაწვდომია სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

მუხლი 10. UG ოლიმპიადის ცენტრი

1. UG ოლიმპიადის ცენტრის მიზანია სკოლის მოსწავლეების წახალისებისა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა დისციპლინებში ოლიმპიადების ჩატარების ორგანიზება.
2. UG ოლიმპიადის ცენტრი ორგანიზებას უწევს სკოლის მოსწავლეთა სხვადასხვა ხასიათის (დარგობრივი მოსწავლეთა ოლიმპიადები, ჰაკათონები, სამეცნიერო შეჯიბრებები) სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებასა და ჩატარებას, უნივერსიტეტის სახელით პრიზებისა და ჯილდოების დაწესებას.